# მეწარმეობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში

***ნანა ნიკოლეიშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ საქმიანობაში. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამუშაო ადგილის შექმნა და მეტი ადამიანის ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში. მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს მეწარმეობის წახალისება და ამ მხრივ სტიმულის შექმნა. რაც უფრო ვითარდება ეკონომიკა, მით მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობას.

მეწარმეობა გულისხმობს ახალი პროდუქტების ან სერვისების შექმნას ან არსებულის გაუმჯობესებას და მომხმარებლისთვის ახლის შეთავაზებას. კრეატიულობა ამ მხრივ აუცილებელია, რადგან სწორედ ის უწყობს ხელს ინოვაციების შექმნას. ამიტომ მეწარმე დაჯილდოებული უნდა იყოს სიმამაცესთან, მონდომებასთან, სიახლისკენ სწრაფვასთან დაკავშირებული უნარებით და იცოდეს, რომ მის ყოველ ნაბიჯს ბევრი წინააღმდეგობა ახლავს და არ უნდა ეშინოდეს. თუ ადამიანი არ არის დაჯილდოებული შესაბამისი უნარებით, ლოგიკურია, რომ ის ვერ იქნება მეწარმე და ვერ წარმართავს სამეწარმეო საქმიანობას.

აქტივობა კომპლექსურია, ამიტომ მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. მცირე ბიზნესის საწარმოები ძირითადად განლაგებულია საბითუმო ვაჭრობაში, როგორიცაა კომპიუტერული მომსახურება და ვაჭრობა. ტრანსპორტი და კომუნიკაცია აქტიურად განვითარებადი სექტორია. მცირე საწარმოების განვითარებას ხელი შეუწყო 1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა. ამ პერიოდმა მთლიანად შეცვალა ეკონომიკური პრიორიტეტები, რაც გამოიხატებოდა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამამხნევებელი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

**საკვანძო სიტყვები:** მეწარმეობის განვითარება, ეკონომიკური პოლიტიკა, გლობალიზაცია.

## THE ROLE OF ENTREPRENEURSHIP IN ECONOMIC DEVELOPMENT

**Nana Nikoleishvili**
Phd student of GTU

**ABSTRACT**

Entrepreneurship plays an important role in economic activity. Through it, it is possible to create a job and involve more people in economic activities. The government's priority should be to encourage entrepreneurship and create incentives in this regard. The more the economy develops, the more importance is attached to entrepreneurship.

Entrepreneurship involves creating new products or services or improving existing ones and offering something new to customers. Creativity is essential in this regard, as it is what contributes to the creation of innovation. Therefore, an entrepreneur should be endowed with skills associated with courage, determination, striving for innovation and know that his every step is accompanied by many obstacles and he should not be afraid of it. If a person is not endowed with the appropriate skills, it is logical that he cannot be an entrepreneur and cannot lead an entrepreneurial activity.

The activity is complex, therefore it is associated with many difficulties. Small business enterprises are mainly located in wholesale trade, such as computer services and trade. Transport and communication is an actively developing sector. The development of small enterprises was encouraged by the economic crisis of 1974-1975. This period completely changed economic priorities, which was expressed by encouraging qualitative indicators, as opposed to quantitative ones.

**Key words:** Development of entrepreneurship, economic policy, globalization.

* * * *

მეწარმეობა ეკონომიკურ საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამუშაო ადგილების შექმნა და მეტი ადამიანის ჩართვა პროცესში. მთავრობის პრიორიტეტი უნდა იყოს მეწარმეობის წახალისება და სტიმულების შექმნა ამ კუთხით. რაც უფრო მეტად ვითარდება ეკონომიკა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობას. დღესდღეობით, მეწარმეობის თემატიკა აქტუალურია, ეკონომიკაში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. სამეწარმეო საკითხები დიდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბევრი ექსპერტისთვის. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა თუ რაოდენ დიდი როლი აქვს მეწარმეობასა ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაზე.

მეწარმეობა გულისხმობს ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნას ან უკვე არსებულის გაუმჯობესებას და რაიმე სიახლით შეთავაზებას მომხმარებლებისთვის. შემოქმედებითი უნარი უმ-

ნიშვნელოვანესია ამ კუთხით, რადგან სწორედ ეს უწყობს ხელს სიახლის შექმნას. შესაბამისად მეწარმე უნდა იყოს დაჯილდოვებული უნარებით, რომელიც ასოცირდება გაბედულებასთან, მიზანსწრაფულობასთან. მის ყოველ ნაბიჯს უამრავი დაბრკოლება ახლავს თან და ის ამას არ უნდა შეუშინდეს. თუ ადამიანი არაა დაჯილდოვებული შესაბამისი უნარებით, ლოგიკურია, ის ვერ იქნება მეწარმე და ვერ გაუძლვება სამეწარმეო საქმიანობას. საქმიანობა კომპლექსურია, ამიტომაც ასოცირდება უამრავ სირთულესთან. მცირე ბიზნესის საწარმოები ძირითადად საბითუმო ვაჭრობაში იკავებენ ადგილს, როგორიცაა კომპიუტერული მომსახურება და ვაჭრობა. აქტიურად განვითარებადი სექტორია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. მცირე საწარმოების განვითარება წაახალისა 1974-1975 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა. მოცემულმა პერიოდმა სრულიად შეცვალა ეკონომიკური პრიორიტეტები, რაც გამოიხატებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლების წახალისებით, რაოდენობრივისგან განსხვავებით.

მნიშვნელოვანია ფინანსებზე წვდომა მეწარმეებისთვის. იმისთვის, რომ წარმოება დაიწყო ან გააფართოვო აუცილებელია ფინანსური წყაროები. საქართველოში ყველაზე დიდი წილი ამ მხრივ, კომერციულ ბანკებს უჭირავთ. ფინანსური ორგანიზაციების განვითარება უმნიშვნელოვანესია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის. რაც უფრო მეტ შეღავათს შესთავაზებს ფინანსური ორგანიზაციები მეწარმეებს, იქნება ეს საშეღავათო პერიოდი ან კრედიტის პროცენტი, უფრო მეტს ექნება ფინანსურ ნაკადებზე ხელმისაწვდომობა. მიუხედავად უკვე არსებული პროექტებისა, ფინანსებზე წვდომა ჯერ კიდევ დიდ პრობლემად რჩება მეწარმეებისთვის.

საერთაშორისო ბაზარზე ოპერირება უმნიშვნელოვანესია მეწარმეებისთვის, რაც პროდუქციის ხარისხის მაღალ სტანდარებთან ასოცირდება. მეწარმე, რომელიც შეძლებს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას, პროდუქციის გაუმჯობესებას და შემდგომ მის ფარგლებს გარეთ გატანას, გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას მიიღებს. საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფართო ასპარეზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმება. საქართველოს მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროპის ბაზარი ჯერ კიდევ ასათვისებელი აქვთ მეწარმეებს, რაც უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა. კომპანიები ჯერ კიდევ მეზობელ ქვეყნებში ხედავენ პოტენციალს, ამ მხრივ ასამაღლებელია მათი ცნობიერება. გარდა ზემოთ ხსენებულისა, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ბაზარზე გასვლა, არც თუ ისე მარტივია. არსებობს სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება რთული და ძვირია. ამიტომაც კომპანიები, უფრო მარტივ და იაფ გზებს ეძებენ.

იმისთვის, რომ ქართული კომპანიები ჩართული იყვნენ საერთაშორისო ბაზარზე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით იქნას ნაბიჯები გადადგმული. აქ იგულისხმება ხელშეწყობა, ინფორმაციული ნაკადების გაცვლა და სხვ. გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებს. როდესაც ქვეყანას აქვს წარმატებული საერთაშორისო ვაჭრობა, ეს უდიდესი წარმატებაა მისთვის. ქვეყნების სწორად შერჩევა მნიშვნელოვანია. მაგალითად საქართველოს უმეტესად მეზობელ ქვეყნებთან აქვს სავაჭრო ურთიერთობა. მნიშვნელოვანია გავზარდოთ საქართველოში წარმოებული პროდუქციის გატანა ევროპის ქვეყნებშიც, მოცემული ბაზარი ჯერ კიდევ ასათვისებელია. მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა, რაც ევროპის ბაზარს გააჩნია, კომპანიებს უნდა ჰქონდეთ იმის სტიმული, რომ რაც შეიძლება მეტად მოარგონ და დააკმაყოფილონ ამ სტანდარტებს თავიანთი პროდუქცია. ეს დამწყები ბაზრებისთვის არაა მარტივი, რადგან საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა, ტექნიკა და შესაბამისი დროც, რათა ამ დონემდე მივიდნენ. გასათვალისწინებელია სიახლეების შიშიც. ბევრ კომპანიას ურჩევნია უკვე არსებულ, გაკვალულ გზას გაყვნენ, ვიდრე ახალი გზები ეძიონ. სიახლეების შიში გამოიხატება ასევე უკვე არსებული სტანდარტებისგან გადახვევაში. მაგალითად მიწათმოქმედს სანამ ის ვერ გაიგებს, რომ არსებობს ტექნოლოგიები, რომლებიც დაეხმარება მას უფრო ნაკლებ დროში, უფრო ნაკლები ძალისხმევით დაამუშაოს მიწა, ის კვლავ ძველ მეთოდს გამოიყენებს. მას შემდეგ რაც მიაღწევს ინფორმაცია და ის გაიგებს იმ დადებით მხარეებს, რაც ახასიათებს მოცემულ ტექნიკას, ის თავადვე მოისურვებს ამ გზას.

გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებს. როდესაც ქვეყანას აქვს წარმატებული საერთაშორისო ვაჭრობა, ეს უდიდესი წარმატებაა მისთვის. ქვეყნების სწორად შერჩევა მნიშვნელოვანია. მაგალითად საქართველოს უმეტესად მეზობელ ქვეყნებთან აქვს სავაჭრო ურთიერთობა. მნიშვნელოვანია გავზარდოთ საქართველოში წარმოებული პროდუქციის გატანა ევროპის ქვეყნებშიც, მოცემული ბაზარი ჯერ კიდევ ასათვისებელია. მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა, რაც ევროპის ბაზარს გააჩნია, კომპანიებს უნდა ჰქონდეთ იმის სტიმული, რომ რაც შეიძლება მეტად მოარგონ და დააკმაყოფილონ ამ სტანდარტებს თა-

ვიანთი პროდუქცია. ეს დამწყები ბაზრებისთვის არაა მარტივი, რადგან საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა, ტექნიკა და შესაბამისი დროც, რათა ამ დონემდე მივიდნენ. გასათვალისწინებელია სიახლეების შიშიც. ბევრ კომპანიას ურჩევნია უკვე არსებულ, გაკვალულ გზას გაყვნენ, ვიდრე ახალი გზები ეძიონ. სიახლეების შიში გამოიხატება ასევე უკვე არსებული სტანდარტებისგან გადახვევაში. მაგალითად მიწათმოქმედს სანამ ის ვერ გაიგებს, რომ არსებობს ტექნოლოგიები, რომლებიც დაეხმარება მას უფრო ნაკლებ დროში, უფრო ნაკლები ძალისხმევით დაამუშაოს მიწა, ის კვლავ ძველ მეთოდს გამოიყენებს. მას შემდეგ რაც მიაღწევს ინფორმაცია და ის გაიგებს იმ დადებით მხარეებს, რაც ახასიათებს მოცემულ ტექნიკას, ის თავადვე მოისურვებს ამ გზას.

დასკვნის სახით: სახელმწიფოს მხრიდან შესაქმნელია პროექტები, რომლებიც მორგებული იქნება მეწარმეთა მოთხოვნებზე, მათ სურვილებსა და ინტერესებზე. აუცილებელია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, როგორც დასაგეგმ, ასევე უკვე დაგეგმილ პროექტებზე. შედეგების მუდმივი ანალიზი და შეჯამება. თითოეული ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება მეწარმეობის განსავითარებლად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასაც შეუწყობს ხელს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მაღლაკელიძე ა, მცირე და საშუალო მეწარმეობის ეკონომოკური პოლიტიკა საქართველოში. თბილისი, 2022

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის, თბილისი 2021

3. ჩიტიშვილი გ, სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში და მისი გავლენა ინოვაციური ბიზნესის გადაწყვეტილებებზე. თბილისი, 2019

4. Adian, I., Doumbia, D., Gregory, N., Ragoussis, A., Reddy, A., & Timmis, J. (2020). Small and Medium Enterprises in the Pandemic : Impact, Responses and the Role of Development Finance. Policy Research Working Paper, No. 9414. World Bank, Washington, DC. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34552